

# თეატრი

საყოველ-კვირათ ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი.

15 რეონი

ბაგონი

№ 24

კვირათ

1886 წელს.

ფასი „თეატრი“-ს წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-ს ღირს სამი მანეთი. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წაგზნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ.“


„თეატრის“ რედაქცია გადავიდა არწრუნისეულ ქარვასლაში, თეატრის კვირდით, სახლი № 110.

## სხოვარვის თეატრი

ცხოვრების თეატრი—ნეტა რა არის? მკითხველს მოუთმენელი მკითხველი. რომანია?—არა. მოთხრობა?—არა. ზღაპარი?—არა, ბატონო! მას მენიერი რამე გამოკვლევას არის?—არც ეს გასლავსთ. მას უთუოთ ჭკუის მეტი ძალ-დატახების საყოფი იქნება? არა, ბატონო, არა! მას რაღა დარდუბაღა?! აი გიშეუღოს დმერთმა, სწორედ რომ დარდუბაღა! არც ესღა გამეგებათ—რა, დუდუნეას გაოცებული მკითხველი და მართალიც არის! განა მე არ ვიცი, ჩემი მკითხველო, რომ არაფერი გგებება—რა, მაგრამ ერთი მითხრო, რა საჭიროა. ეხლანდელ დროში „გაგება“?.. მერწმუნე, ისეთი ცუდი არაფერი არ არის—რა ჭკუანახედ როგორც „გაგება“ მეტადრე ესღა, ჩვენს დროში, შენ ვი, მკითხველო, ყოვლისთვის „გაგება“ მოგაწადინებია. ეგ რომ მეტისმეტო ტვირთი იქნება შენსთანა და ჩემსთანა უძღურისათ-

სალკე ვგზემპლარო ვაზ. „თეატრი“-ს ღირს 15 კაპ. ისურვება რედაქციის კანტორაში არწრუნისეულის ქარვასლა, სადგომი № 110, ჩარკვიანის ქართულ წიგნების მაღაზიაში, ივერიის პაპიროსის მაღაზიაში—ბულგარზედ და ხიდის ყურზე, ვარანტოვის ძეგლის პირ-და-პირ, პაპიროსის მაღაზიაში.

ვის... არა, მკითხველო, გიჟობს ისევე იმ გაუგებრობაში დარჩე, როგორც აქამდე ყოფილხარ, თორემ თუ ცოტათი მაინც სინიღისი და პატიოსნება შეგჩენია—„გაგება“ დავტანჯამს, სისხლს ამოგიშრობს, დავაგანდავსმობს... გაიგო—არც სდება შენს გარშემო, გაიგო რას სხადან ვაგებო, გაიგო—რა ღონის-ძიებით და საშუალებით ცხოვრობენ დედ-მამანი, გაიგო—არც სდება შენი ამსახვის ან თვითონ შენი ცოლის, დის, საყვარლის სარეცელზედ... გაიგო—როგორ ეწერება შვილიმამას, მამა შეიღს, ურჩი ჭკვიანს, ძღა უსკანობას, უმეტრება განათლებას, საბრძოლო ნიჭს, შუბლ-გარეცხილი რანდი პატიოსნებას, კულ-ბზიკა სინიღისს... ეჭ, მკითხველო, გიჩხვე შორს მოუარო ყველას, თვლი დავიხუჭო, რომ არ დაბრძდე, უფრო დავიგო, რომ არ დაწერუდე, ცხვირ-პირი დავიფარო, რომ არ მოის-



წამლო, გონება დაიხურებოდა რომ არ გაგიჟდეს ან თავი არ მოიკლას... დაისძინელი, „გაგება“ მეტად ძნელი... ნუ გინდა „გაგება“... შენ გასწი შენთვის ზატიოსხად, ნურც უკან, ნურც მარცხნივ-მარჯვნივ ნუ მოისვლები... გასწი წინ სიმაღლით აღჭურვილი და დაწმუნებული შენს კაცებურ კაცობაში, — რომ, სიცოცხლის გორგლის დახვევის დროს, ზირნათლად და უშიშრად შეგემდოს სთქვა: „მე მხოლოდ ადამიანი ვიყავი და გაცურად განვლე ჩემი მანათქა“... მაგრამ დავიწყოთ.

ცხოვრების თეატრი, მკითხველო, ისეთივე თეატრია როგორც საზოგადოთ ყოველი თეატრი, ხოლო ათასჯერ უფრო საყურადღებო, უფრო რთული და ძნელად გასაგებო, ისე ძნელი, როგორც თვით ცხოვრება. ცხოვრების თეატრი მეტის-მეტად შეუბრალებელი, გადაჭარბებული, კანასი და წინადაუსედავია, იგი მრისხანია, ბაიუშისავით თავმოყვარე, რისიანი, ყინით სავსე და გაზვიადებულია... ერთის სიტყვით ცხოვრების თეატრი არის სტიქია, ძალა, რომელიც არ ეძინება ადამიანის წესებს და ჩვეულებას არც ჭკუის სიღრმეს და არც მისი ქაბადებს... მოუვლის ცხოვრების თეატრს ყინი ან ქვიფი და ზედი-ზედ ისეთს წარმოდგენას გამართვას სოღმე, რომ ვერც ერთი საქვეყნოთ განთქმული სტენა ვერ შეედრება. რა გინდა, რომ იქ არ იყვას: ტრადედია, დრამა, მელო დრამა, ტრადიკომედია, ვოდევილი, თარსი და ვიდევ მრავალი სასე დრამატიული ზოგისიას დომსადვიით არეულნი არიან ერთმანეთში. რა ნაირი მომქმედ ვირს, რანაირი ამხელვას არ დინანამს კაცი ამ ცხოვრების თეატრზედ. აქ ყველანი თამაშობენ თავიანთი როლებს და სშირად სსვებისასაც. — ზოგი ტრადიკულათ გაიძისის, ზოგი კომიკურათ წრიზინებს. ვაცი, ქალი, ბავში, ბებური, ასლგაზდა ერთი მეორეს ასწრობენ, ზოგი, ბედისკან და ვიდევოკული, ისე თამაშად და ხელთახრობით თამაშობს თავისი როლს, რომ გამოხენილი ვინი და ტადმა მასხარად მოჩანს მის წინაშე, ბედნიერია ის კაცი, რომელიც მაყურებლათ არის; მაგრამ ეს ისე ძნელია, როგორც ქართულ ვაცის გამაშადინება — საქმე იმაშია, რომ ცხოვრების თეატრზედ ყველანი ერთ და იმავე დროს მოთამაშენიც არიან და მაყურებელნიც. აქ ყველა აკტიორია, ყველა აარტიოსტია. „განა ტყუულს ვაზობ, მკითხველო? აბა დააკვირდი შენს ნაცნობებს თუ გინდ თვითონ შენს თავსაც და მერწმუნე, რომ ბევრს აარტიოსტებს“ იმავე მით შორის... ყველანი, შენც და მეც, ჩემო მკითხველო, როლებს ვთამაშობთ, რომელიც დროთა ვითარებას ურგუნების ჩვენთვის... მე დღეს რეზონიორობას მოკვე-

ვი, შენ იქნება ტრადიკი იყო, შენა ნაცნობნი კამკობამ კი — ტავი მასხარა, მაგრამ საგმარსია უნდალო ვინი ცხოვრების თეატრისა და შენ რეზონიორად იქვევი დამე კი ტრადიკათ ან ტავი მასხარად... რა ნაირი ტიპებს, რა ნაირი ხასიათებს რა ნაირი ჩვეულებებს და რამდენ-რამეს იხილავს კაცი თუ კი დააკვირდება ცხოვრების თეატრს. თუ კი მოიწადინებს თვალ-ყურის დევნას! უმთავრესი ვირსი, ან როგორც ამბობენ ვირველი პერსონაჟი, რომელიც მოქმედობენ ცხოვრების თეატრზედ, ჩემის აზრით, იყოფიან რამე უმთავრესი გუნდათ... საგანი რომელსედაც შენდება არაკი (ქაბუ-ლა) არის სიმაღლიე და უფლება, ან მდაბიურად რომ ვსთქვათ „მე“ და „შენ“ ეს რამე მოწინააღმდეგე გუნდი, ეს რამე მოწინა-და-ვირე საგანი მუდმივი ჭპანს წყვეტაში და ბრძოლაში არიან ერთ-მეორესთან; ადვილი ანუ სტენა, სადაც იძრობება ცხოვრების თეატრის წარმოდგენი არის საზოგადოთ მთელი ქვეყანა და კვირმოთ — ყოველი კუნჭული, სადაც კი სუნთქვა შესაძლებელია; რეჟისორი ცხოვრების თეატრისა არის ადამიანის გამოცდილება მისი სერსი და სწავლა; სუთელიორი კი არის თვითონ ადამიანის ცხოვრება მოძრაობა, მისი ვნება, მისი სისარული — საიდუმლო სურვილი, ანტრეპრინიორი ცხოვრების თეატრისა, ჩემის აზრით, არის შიში... ერთის სიტყვით ცხოვრების თეატრი ყოველთვის სრული კომპლექტით არის შემდგარი სოღმე... ყურება ცხოვრების თეატრისა შორიდან სეირია, ახლოს კი საშინელება!

ყველა ეს იმიტომ მოგასსენე მკითხველო, რომ ესლა საფხულია და მაშასადამე ჩვენი ქართული თეატრი განსვენებას ეძლევა და სანამ ჩვენი ხელთახროთ თეატრი მოქმედებას დაიწყობდეს მე მსურს გესაუბრო სოღმე ნამდვილ, ბუნებრივ, ცხოვრების თეატრზედ, მისი არტიოსტებზედ, მისი ქურუმებზედ, მისი პიესებზედ, რეჟურტურებზედ. აი მაგალითად ამ დღეებში წარმადგინეს ერთი ფრიად სანსტერესო დრამა, სასეულად... მაგრამ გავთავოთ. ნახვამდინ.

რეზონიორი.



სულ-მობძვსა ლოცვა უნდა...  
 ბაღასს ცვარი შეცვიური...  
 ჰევა კონება კაცს სჭირდება,  
 ზოგს გრძობა და ჩონგური.

**დ. ჯღასუბელი**

**ბალახისტიკა**

**ცხოვრება და სურათები.**

ამ დილას ტფილისის სტანციებზედ მეტად დიდ-  
 ძალი ხალხი იყო. რაღაც აჩქარებული სიარული,  
 უცნაური ფუსფუსი, რომელსაც მხოლოდ დიდს  
 სტანციებში შეხვდება ხოლმე კაცი: გამართბოვება,  
 ოხვრა, კრემლი, სიცილი და თან უანგარო სიმ-  
 ხიარულე დომხალივით არეული იყო. სხვათა შო-  
 რის ერთს კუნჭულში, აი რას ლაპარაკობდენ:

— შეილო, ვანო, ხშირად მომწერე ხოლმე...  
 ხომ იცი, შეილო, რა ძნელია ჩემთვის უშენოთ  
 ერთი კვირის გაძლება! ასე ეუბნებოდა თვალზედ  
 კრემლ-მორეული, თავ-დახურული ლამაზი, თუმცა  
 ხანში შესული, მანდილოსანი თავის ახალ-გაზდა  
 შეილს, რომელიც რუსეთში მიემგზავრებოდა უმა-  
 ლღესი სწავლის მისაღებად. აქვე, გვერდით, იდგა  
 ორი ახალ-გაზდა, ერთი ქერა და მეორე შავგვრე-  
 მანი, ქალი: ნუცა და თალიკო. პირველი ვანოს  
 და იყო, მეორე კი ნუცას ამხანაგი—მათი ახლო  
 ნაცნობი, მეზობლის ქალი, ვანოს და თალიკოს  
 ერთმანეთი უყვარდათ.

— მანო! ყრუდ წაიდურღუნა თალიკომ, ნუ და-  
 გვივიწყებ... მოგწერე... პირობა არ დაგვიწყდეს:  
 პირველი წერილი შენგან უნდა მივიღოთ... და ვე-  
 ლარ გაათავა; ეტყობოდა რომ, რაღაც მძიმე, მწა-  
 რე ცრძობა, თითქო ნებსებით დაქაქსული ბურ-  
 თივით, ყელზედ მოაწვა.

— დამვიღო, დედი, — კმარა, თალიკო! ასე  
 რამ შეგაწუხათ? რა მგლოვიარე სახე გაქვთ? საი-  
 ქიოს ხომ არ მისტუმრებთ! ძალ-დატანებით იოხუნ-  
 ჯა მანომ, — ჩინეთში ხომ არ მივდივარ? ბევრი-  
 ბევრი პეტერბურღამდე ერთი კვირის გზა იყო,  
 კვირაც არ გაივლის და ჩემი წერილიც მოგივათ...

სულ-მობძვსა ლოცვა უნდა...  
 ბაღასს ცვარი შეცვიური...  
 ჰევა კონება კაცს სჭირდება,  
 ზოგს გრძობა და ჩონგური.

**დ. ჯღასუბელი**

**ბალახისტიკა**


**ცხოვრება და სურათები.**

ამ დილას ტფილისის სტანციებზედ მეტად დიდ-  
 ძალი ხალხი იყო. რაღაც აჩქარებული სიარული,  
 უცნაური ფუსფუსი, რომელსაც მხოლოდ დიდს  
 სტანციებში შეხვდება ხოლმე კაცი: გამართბოვება,  
 ოხვრა, კრემლი, სიცილი და თან უანგარო სიმ-  
 ხიარულე დომხალივით არეული იყო. სხვათა შო-  
 რის ერთს კუნჭულში, აი რას ლაპარაკობდენ:

— შეილო, ვანო, ხშირად მომწერე ხოლმე...  
 ხომ იცი, შეილო, რა ძნელია ჩემთვის უშენოთ  
 ერთი კვირის გაძლება! ასე ეუბნებოდა თვალზედ  
 კრემლ-მორეული, თავ-დახურული ლამაზი, თუმცა  
 ხანში შესული, მანდილოსანი თავის ახალ-გაზდა  
 შეილს, რომელიც რუსეთში მიემგზავრებოდა უმა-  
 ლღესი სწავლის მისაღებად. აქვე, გვერდით, იდგა  
 ორი ახალ-გაზდა, ერთი ქერა და მეორე შავგვრე-  
 მანი, ქალი: ნუცა და თალიკო. პირველი ვანოს  
 და იყო, მეორე კი ნუცას ამხანაგი—მათი ახლო  
 ნაცნობი, მეზობლის ქალი, ვანოს და თალიკოს  
 ერთმანეთი უყვარდათ.

— მანო! ყრუდ წაიდურღუნა თალიკომ, ნუ და-  
 გვივიწყებ... მოგწერე... პირობა არ დაგვიწყდეს:  
 პირველი წერილი შენგან უნდა მივიღოთ... და ვე-  
 ლარ გაათავა; ეტყობოდა რომ, რაღაც მძიმე, მწა-  
 რე ცრძობა, თითქო ნებსებით დაქაქსული ბურ-  
 თივით, ყელზედ მოაწვა.

— დამვიღო, დედი, — კმარა, თალიკო! ასე  
 რამ შეგაწუხათ? რა მგლოვიარე სახე გაქვთ? საი-  
 ქიოს ხომ არ მისტუმრებთ! ძალ-დატანებით იოხუნ-  
 ჯა მანომ, — ჩინეთში ხომ არ მივდივარ? ბევრი-  
 ბევრი პეტერბურღამდე ერთი კვირის გზა იყო,  
 კვირაც არ გაივლის და ჩემი წერილიც მოგივათ...



თუ გიყვარვარ დედი, გამხიარული! ნუცა მაინც შეიბრალებთ—ერთი შეხედეთ რა ნაირად მიბღვერის, ხა, ხა, ხა... ესა ხართ ქალები და! ერთი ფრჩხილის ოდენა სიმხნევე არა გაბადიათ, მაშინათვე ცრემლები!.. ასე ამშვიდებდა მანო ქალებს, თუმცა კი თითონ საშინელ მღელვარებას გრძნობდა. ამ დროს გამოექანა მათკენ ერთი ყმაწვილი კაცი.

— ოჰ; შაქრო! შენც მოხველი? — მიეგება მანომ.

— მოსვლით მოველი, მაგრამ შენ რომ მიღიხირ? მიუგო შაქრომ.

-- რაექნა, ძმაო-ჯან, სწავლა მწადიან!

— მაშ მიღიხარ, მიღიხარ? ჰკითხა მხიარულად შაქრომ.

— ღიახ—მივდივარ! მიუგო მანომ და მწარე სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ ვერცინ ახერხებდა.

— აი მამაც მოდის, წამოიძახა ნუცამ, ბილეთიც უყიდნია. ყველანი მიბრუნდნენ და დასტურ ერთს დარბაისელს, ქალარა შერეულს მოხუცს ბილეთი მოჰქონდა.

— საცაა მესამეს დარეკენ, ბოხის ხმით წარმოსთქვა მოხუცმა. ამ სიტყვებმა ყველა ააჭრეოლა, ყველანი რაღაც უხეიროდ და უნებლიედ დაფაცურდნენ, მაგრამ ეგ მხოლოდ ერთს წუთს იყო. ტანჯვას განშორებისას კიდევ ორკეცი ტანჯვა მიემატა.

— მანო; აბა, შენ იცი, შეილო, რა ჰკვიანად და პიტიოსნად იქნები. ჰკვა და პატიოსნება, შეილო, ადამიანისათვის უპირველესი საუნჯეა და ამასთანავე მისი ფარხმალიცაა. იშრომე, შეილო; შრომაზედ არის დამყარებული ჩვენი დღეგრძელობა. წიგნების მოწერა ნუ დაგეზარება. აბა, ქალებო, გამოეთხოვეთ; საცაა უკანასკნელი დარეკამენ.

— შეილო მანო! მხოლოდ ეს-ღა მოახერხა საბრალო დედამ და მხურვალედ ჩაიკრა გულში თავის იმედო. ატირდა საცოდავი დედა—ატირდა ლამაზი ნუცაც. თალიკო მთლად გაფითრებულ იყო და პირის სახე მკვდარს მიუგვანდა.

— მშვიდობით, დედი!... კარგია... დამშვიდდით... აქ ვანოსაც ხმა გაუწყდა, თვალეში ნაკადულები მოაწვენენ. მაგრამ არ გადმოფრქვევილან. მშვიდობით მამავ! და მამა და შეილომა ვაჟკაცურად ჩაიკრეს გულში ერთმანეთი... დიდხანს იყვნენ ასე. ბოლოს შეილომა მამას ხელი ჩამოართვა და სჩქაროდ მატარებლისაკენ გაიწია. აშკარად ეტყობოდა, რომ ცრემლების შემაგრება არ შეეძლო და

მაგიტომ დამალვას ცდილობდა. მამის ჩინისსხლებული თვალებიდამ ორი მსხვილი ნაკადული გადმოეშვა და მის ქალარა წვერ-ულვაშში გაერია. დამამ გრძნობიერად ჩაჰკოცნეს ერთმანეთი.

შაქრო, მშვიდობით, ბედნიერად გამყოფოს ღმერთმა—და ახალ-გაზდა ამხანაგებმა ამხანაგურად გადაეხვივნენ და გარდაკოცნეს ერთ-მეორე.

თალიკო კი-ხმას არ იღებდა, თითქოს არ გრძნობდა, რაც ხდებოდა მის გარეშემო. მესამედ დარეკეს.

— „Госпа пршу слица в—огонь!“ თუთუ-უშვივით ზედი ზედ მისეტყვა ვილაც ჩამომხმარკონდუქტორმა.

— მანო! ერთად დაიკვივს ქალებმა და მიეხვივნენ წამსვლელს. ორთქლის მატარებელმა ერთი ისეთა დაკვივლა თითქოს სიცოცხლეს ეთხოვებოდა და ზოგთ ეწერებოდა ბარიშნებსა კინალამ გული არ შემოეყარააა

თალიკო!...

— მანო!... მიჯნურებმა პირველად აკოცეს ერთ-მეორეს. მათი ტუჩები ლოდით ცივი იყო. ეგ კოცნა იყო პირველი და იქნება უკანასკნელიც... ერთს წუთს ვანო მატარებელში იჯდა. დაიძრა მატარებელი—ჯერ წელა—მერე აჩქარდა, ბევრმა პირჯვარი გადისახა, ბევრნი ქუდს და მანდილს იქნევდნენ, ბევრნი... მაგრამ მატარებელი, ეგ ადამიანისაგან მოგონილი ვეშაპი, მალე თვალთ მიეფარა.

ხალხი წელ-წელა დაიშალა. სტანციის მოხელენი და ჟანდარმები თავის სოროში შეძვრნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ არცინ არ იყო სტანციის პლატფორმაზეთ. მხოლოდ ერთს ადგილს ვიწროდ მიკუნჭულიყვნენ სამა ქალი და ორი ვაჟ-კაცი, რომელნიც რაღაც გაშტერებით და ოცნება გატაცებით შეჰყუროდნენ იმ ადგილს—სადაც მატარებელი მიემალა. დიდ ხანს იყვნენ ამ მდგომარეობაში. აშკარად ეტყობოდათ, რომ მათ ცხოვრებაში რაღაც არა ჩვეულებრივი ამბავი მომხდარიყო, ყველას თავისებური აზრი და ფიქრი უელავდა თავში—თუმცა ფიქრის საგანი ერთი-ღა ვანო იყო.

მანო! რამდენი სიცოცხლე, რამდენი გული, რამდენი იმედი მოველის შენი სიცოცხლის დღეგრძელობას, შენი იმედის განხორციელებენ!...

გაკლბა

მთელი დღი მანომ ვიწროდ მიკუნჭულიყვნენ სამა ქალი და ორი ვაჟ-კაცი, რომელნიც რაღაც გაშტერებით და ოცნება გატაცებით შეჰყუროდნენ იმ ადგილს—სადაც მატარებელი მიემალა. დიდ ხანს იყვნენ ამ მდგომარეობაში. აშკარად ეტყობოდათ, რომ მათ ცხოვრებაში რაღაც არა ჩვეულებრივი ამბავი მომხდარიყო, ყველას თავისებური აზრი და ფიქრი უელავდა თავში—თუმცა ფიქრის საგანი ერთი-ღა ვანო იყო.

ხალხური კოეზია.

(შეკრებილი ს. ნებოძირში ს. ლონდაძისაგან)

1

რს ვთქვა ზირ-ბადო, შენი საკნდრო,  
 ანგრეც მე შენ თავს ვენაცვალეები.  
 თმათა ლამაზო, ეელ-ეურ წესაზრო,  
 სულ უხინჯო გაქვს ორი თვალები:  
 ვხედავ რო ელავს, შავათ რო ღელავს;  
 მელნის ტბა არის დაუშრობელი.  
 ცხვირი შოთასი, წარბი ჯ დისა,  
 მას კარგემო ბროლი არისო.  
 ბაკე და კბილი მოწ-მარკალიტი  
 სანდომობითა სამსე არისო.  
 ნურც მოკემლება დაო, ბატონო,  
 სამოთხის ტანტი შენი არისო.

2

ოქრო ოქროს შეუწონე,  
 მარკალიტი მინასაო.  
 ნათლი-დედის სილამაზე  
 არას არკებს სვინასაო!  
 3  
 ჩვენ იქით ერთი ველია,  
 ია დგას უარღი ფენია.  
 კოშკი დგას მარმარილოსი,  
 ცას წვერი მაუბჯენია.  
 შიგა ზის ქალი ლამაზი,  
 ზირი თმისაგან ბნელია.  
 რათ უნდა მას საგარცხელი,  
 ლაღი ოქროსა ფერია.  
 მამათილი თავს ადგია.  
 მულის წული ფარეშია.

მონათობის რეპრეზენტაცია

თეთრი ქალი ბრინჯს არჩევდა,  
 შავკრიშალი სამარსოსა.  
 თეთრმა ქალმა დამიტროს,  
 შავკრიშალმა დამმარსოსა.  
 5  
 მთას ირეში ვასუქდება.  
 ბირს ჩამოვა დიჭობასა.  
 ბევრი გოგო მოვატყუე  
 ჩემსა ემაწვილ ბიჭობასა.

მონათობის სილამაზი.

I.

მარჯვე ბიჭი.

ქალმა სთქვა:—ქმარი გონჯაი მუავს,  
 ჩაუკეტა კარებიო.  
 ქმარი სჯავრობის: „მიხესი მაქვს,  
 „ღარ მივეკარებიო.“  
 უცხო ანობის:—ვაი დილილმე!...  
 კედელს მოვეფარებიო;  
 შუა ღამე რომ დადგება,  
 ჩასლში შევიზარებიო;  
 თვალ ქუქუნა მე დაძრება  
 და იმათი სარებიო.  
 მეძრე ქმარმა, სამდევროდა,  
 ძალხედ რეკოს სარებიო.  
 რას უსამენ მარჯვე ბიჭსა  
 თუნდა ქვეუნი სჯარებიო!

ა. მონათობი.

შეზღუდული სიყვარულისაგან \*)

ღრამა 5 მოქმედ. თხზ. ღონ-მანუელ ტამაისი და ბაურისა.

სცენა IX

მეფე, მემრე ალღარა.

მეფე. ღიახ, სამართლიანად არის იგი ჩემგან დასჯილი. მეტის მეტი სასტიკი სასჯელი ხომ არ არის? არ ემჯობინება მისი სიკვდილით დასჯა ხელებისთვის იყვეს გადადებული? რა, რა მალე შეფერხდება ხოლმე ჩემი გაუბედავი და სუსტი გული, მოდი ჩემთან, ალღარა, მე თქვენი ნახვა მსურს.

ალღარა. რა მდგომარეობაშიც ეხლა თქვენა გხედავთ—მე სრულიათაც არ მიკვირს... მე ვიცი რომ დედოფალი აქა რჩება და მაშ მეც აქ აღარ დამედგომება.

მეფე. ნულარ მანაღვლებ, ალღარა: მე ისეც ვიტანჯვი.

ალღარა. მინ არის დამნაშავე, თუ არა თქვენვე? ეხლა მაინც რაიმე ზომები მიიღეთ, მეფე, თქვენი მოწინააღმდეგეების ასალაგმად.

მეფე. თქვენ მართალს ამბობთ. ერთი მოწინააღმდეგეთაგანი ჩემს ხელშია, სასჯელიც დაუწესე და მინამ თქვენ სიტყვებს გავიგონებდი, ჩემი გული მზად იყო შეენდო იგი.

ალღარა. რას ამბობთ, მეფე? განა-ლა შეიძლება იმისი შენდობა, ვინც ურჩევს დედოფალს აქ დარჩენას? ახ, დამცირებულს სისუსტე! მე სამუდამოთ გეთხოვებით.

მეფე. ღარჩით აქ! თქვენი აქ ყოფნა გამამხნევებს.

ალღარა. მკრი გზით შეიძლება ტახტზე ასვლა: უხვათ დარიგებული ოქროთი და საზოგადო შიშით. პირველი საშუალება ვინმარიათ, დროა ეხლა მეორე საშუალებას მიმართოთ. ნურაფის ნუ შეიწყალებთ და სიკვდილით დასაჯეთ ყველა თქვენი მოწინააღმდეგენი.

მეფე. სიკვდილით დაესაჯო? გპირდებით თქვენ.

ალღარა. ღეე პირველად დედოფალი დაისაჯოს.

მეფე. იგი დაისჯება.

ალღარა. მრთ-ერთი მოამბობხეს სიკვდილით დასჯა მაინც შიშის ზარს დასცემს დანარჩენ მოამბობხებს.

მეფე. თქვენ არ იცით? ამ კაცს ორ-გვარი დამნაშაობა მიუძღვის; იგი ეძებდა თქვენს სიყვარულს...

ალღარა. როგორ?... რას ამბობთ...

მეფე. თქვენს სიყვარულსა, რომელი შეადგენს ჩემს ბედნიერებასა, სანგანს ყველა ჩემი მწუხარებისას. თქვენი სიყვარული—მთლად ჩემი სიცოცხლეც.

ალღარა. თქვენ ვიხედა ლაპარაკობთ?

მეფე. მანა არ გითხარ? ურცხვ მეტოქეზე, ღონ-ალღარესზე.

ალღარა. ააღვარესზე!

მეფე. ნუ გემინიან—მე ჩემს განაჩენს არ დაეარღვევ; მშვიდობით, ალღარა მე მოსვენება მინდა.

ალღარა. (მისდექ!) რაში მდგომარეობს ეგ განაჩენი?

მეფე. ღონ ალღარი დღესვე სიკვდილით დაისჯება ამ სასახლის ერთ-ერთს კოშკში.

ალღარა. (აკანკალებული ხმით) სიკვდილით დაისჯება?

მეფე. სიკვდილით დაისჯება! (მიღის მარჯვენაზე).

სცენა X

ალღარა, მერე დედოფალი.

ალღარა. სიკვდილით დასჯა! იგი უნდა მოკვდეს! მოკვდეს ჩემი დანაშაულობისთვის! არა, მე მოტყუებული არა ვარ, ეს მეფემ მითხრა: კარგად გავიგონე! მის ფეხებ წინ დავეგები... (მიღის იქითკენ სდინთაც მეფე წავიდა) უბედურო ჩემო თავო! (დადგება) მეფე ექვიანობს, და ჩემი თხოვნა აღრე მოუსწრაფებს ალღარს, სიცოცხლეს! ოჰ, დაწყევლილო შურის ძიება, შენ მე თვითონ დავიგე მახე! მე აქ რას ვაკეთებ! უნდა წავიდე ჩქარა და რაიმე ღონისძიებით იგი სიკვდილს გადავარჩინო. ღიახ ან უნდა გადავარჩინო, ან იმასთან ერთად მეც განვიწირო სიცოცხლე. ალღარი ჩემ სიცოცხლეზე უფრო ძვირია! მაგრამ რას მიემართო? რა ღონისძიება აღმოვაჩინო? (მივარდება დედოფალს, რომელიც მარცხნივ შემოდის) ახ, დედოფალო, შემიბრალებთ, შემიბრალებთ მე!

დედოფალი. თქვენ აქა ხართ?... და ჰბედამთ თქვენ ჩემს წინ შეხვედრას?

ალღარა. ნუ გამწირავთ...

დედოფალი. მოამბორდი!.. მე ჩემს მეუღლეს ექებ.

ალღარა. შემიბრალებთ, მაპატრიეთ (დევცემამის ფეხებ წინ) ბევრი შეურაცხყოფა მომიყენებიათ თქვენთვის, მაგრამ ენანობ და თქვენ შემინდეთ.

დედოფალი. განმარტეთ...

აღდაწა. ღაიჯერეთ, ღაიჯერეთ ეს რასაც მე გეტყვი. მე არ მიყვარს მეფე, მე იგი თავის ღღე-შიაც არა მიყვარებია, ჩემი გული სხვას ეკუთვნის. მე მიყვარს ღონ ალვარი.

დედოფალი. აბა მაგას რას ამბობ?... შენ არ გიყვარს მეფე!.. ესეც ახალი ტყუილი?

აღდაწა. რისთვის ვატყუებდი ამას, რომ ეხლა ჩემსას არაფერს იჯერებს. მაგრამ შემომხედეთ: ეს ტრემლები, ეს ოხერანი გულისა არა ტყუიან. არც ჩემი ბაგენი ტყუან! გეფიცებით! ეხლა ხომ დასჯე-ბით? რა ექნა რომ თქვენ დაგაჯეროთ?

დედოფალი. მე შენი არა მესმი რა... განმარ-ტეთ...

აღდაწა. მე მეგონა, მამატეთ, მე მეგონა რომ თქვენ ღონ ალვარი გიყვართ... მე თქვენ ჩემს მეტოქეთ წარმოგიღვინე, და ვეკვიანობდი.

დედოფალი. მე ვთვალ-მაქცობდი აგება მეფემ ჩემზე იქნეულოს მეთქი.

აღდაწა. და მეც რომ თქვენთვის მაგიერი გა-ღამეხდნა, ვთვალ-მაქცობდი რომ მითომ მეფე მი-ყვარდა.

დედოფალი. (აღეღვებით) მაშ შენ არ გიყვარს მეფე?

აღდაწა. თქვენს თავის ღღეში არა გყვარებიათ ღონ ალვარი?

დედოფალი. შენც ეკვიანობ! უბედურო, რა რიგად ღაიტანჯები!

აღდაწა. ღიახ, თქვენ იცით რა არის ეკვიანო-ბა! ღამეხმარეთ იმ უბედურის განთავისუფლებაში. განა თქვენთვის არავის მოუხსენებია? მეფეს მისი სიკვდილით დასჯა უნდა.

დედოფალი. რისთვის?

აღდაწა. იმისთვის რომ იმას ერთგულობა მიუ-ძღვის თავისი კანონიერი დედოფლის წინაშე, რომ ის ვთაყვანება თავის ბრძანებელს. განა შეგიძლიანთ წარმოიღვინოთ რომ ამ მეფე—მტარვალმა ამ საქ-ციელისთვის განწიროს თქვენი ვასალები?

დედოფალი. იგი ამას არ იქს...

აღდაწა. ალვარი ეხლა უნდა მოკლან.

დედოფალი. როდის?

აღდაწა. შეიძლება აი ამ წამშიაც სასახლის ერთ-ერთს კოშკში! და თქვენ მე არ მოშორდებით, კიდევ აქა ხართ? შემობრალეთ! ვფიცავ თქვენს ღმერთსა. ერთ-არსებას, რომელსაც მე ამ წამი-ღვან ვეთაყვანები, რადგანაც იგი მოწყალეა და გვიბძანებს ერთი ერთმანეთის პატიობას...

დედოფალი. თუ მართლა გწამს ჩემი ღმერთი შენი და ვიქნები, თუ მართლა ღვივის სიყვარული ამ კაცისადმი—შენ ჩემი და იქნები, (აღღარა, ტრემლებით დანამული, რამდენჯერმე ჰკოცნის მის ხელებს) შენ ტყუილად არ მიმართე ჩემს გულს, დედოფლისა და დედა-კაცის გულსა. შენ ტყუილად არ ახსენე წმინდა სახელი ღმერთისა რომელიც ერთი ოხერისთვის ჰპატიოს მთელი სიცოცხლის ცო-ღოებს. შენი გულის კენესა ჩემს გულს ბანს ამ-ღევს. ღმერთმა შეისმინა შენი სიტყვა და შემიცო-ღა და ღამეიღდი, ღაო ჩემო, მტარვალობამ გამოი-ღო იმაზე ხელი და ნუ გეშინიან დედოფალი ღაი-ხსნის თავისერთგულს, შენი და ღაიხსნის იმას ვინც ვერე გიყვარს! (მიღს).

სცენა XI

აღღარა, მერე მეფე, მერე დედოფალი.

აღდაწა. იგი მე დავლუპე, დედოფალი კი ცდი-ღობს მის დახსნას. ჩემმა ღმერთმა შემქნა მე მო-ღნად ღაუცხრომელი სეე-ბედისა, იმისმა ღმერთმა კე კეთილ ინება და მომცა ნება შენანების ტრემლე-ბით გაერეცხო ჩემი დანაშაულებანი. იყუე კურ-თხეულ, ღაუფასებელო დედა-კაცო, და ათი-ათასჯერ კურთხეულ, ღამხსნელო ქვეყანისა!

მეფე. (შემოდის) ერთს წამსაც ვერ ღამცხრა-ღა ჩემი გული... საშინელი ტანჯვა მღრღნის და ვწვაღობ მოუთმენლობით.

აღდაწა. (თავისთქის) მეფე!

მეფე. (აღღარას) აღღარა!

აღდაწა. (ერიღება) ღამანებეთ თავე! მომშორ-ღით!

მეფე. რასა ნიშნავს ეს?

აღდაწა. ეს ნიშნავს იმას რომ მე უღირსი დედა-კაცი ვყოფიღვარ და თქვენ უღირსი მამა-კაცი. ეს ამას ნიშნავს, რომ ჩვენ ორივემ შეურაცყოღა მი ვაყენეთ ანგეღოზს, ზეცამ კიღეც ღამსაჯა მე ღა იმავე სასჯელს ვერც თქვენ ასციღღებით.

მეფე. საიღვან შემოკპარვიანთ გულში გრძნობა აგრეთი შებრალებისა? ნუ მადგბინებთ ექვს თქვენს სიყვარულში!

აღდაწა. ჩემს სიყვარულში? მაძრწუნებთ თქვენ მაგიით.

მეფე. ეს რა მესმის!

აღდაწა. შეიტყეთ; ჩემს გულს სხვა მფლობე-ღობს. მე მარტო უურისძიებისათვისა გამოგიცხადეთ თქვენ სიყვარული.

ქართული  
კაბრიდან კაბრამდე

მეფე. ალღარა!  
ალღარა. ღმერთმა შემინდო შეცოცობანი, და  
თქვენ კი იმ საცოცობის გულისთვის დიტანჯებით.

მეფე. ეს რა არის? სიზმარი ხომ არ არის? შენ  
მეუბნები ამას, თუ ჩემი მქენჯავი ციება?

ალღარა. ხმა ამოიღო ჩემმა და შენმა ინდისმა!

მეფე. კაცი რომელიც შენ გიყვარს, ეს ის არის—  
რომელსაც სასიკვდილოდ დასჯა გადასწყვიტე!...  
როგორა ვცდებოდე! იმის სიკვდილით დასჯას. მან-  
გებამ მოგიყვანათ თქვენ ამ სასოწარკვეთილებამ-  
დის! იგი მოკვდება, იცოდე რომ მოკვდება!...

ალღარა. არა, იმას დედოფალი დაიხსნის!

მეფე. დაიხსნის? გვიანდა!

ალღარა. ოჰ, ბაჩუმდი!

მეფე. და თუ არა, მე თვითონ...

ალღარა. (არ უშვებს) არა, შენ ვერ წახვალ.

მეფე. გამეცალე!...

ალღარა. მოკვდები მე...

მეფე. არა, ჯერ ის მოკვდება.

ალღარა და მეფე. (დინახავენ შემოსულ დედო-  
ფალს) ახ!

ალღარა. დედოფალი! (გაჩუმდება ცოტახნობით,  
ემინიან ღონ ალღარის ამბის გაგებისა)

მეფე. თქვით!

ალღარა. ცოცხალია იგი?

მეფე. იგი მოკვდა, არა?

დედოფალი. არა, მე იგი დაიხსენი!

მეფე. ეჰ, მკაცრო სევ-ველო! (უგრძნობად და-  
ეცემა)

დედოფალი. ო, ზეცაო!

ალღარა. ამან ყველფერი შეიტყო, თქვენი სამა-  
გიერო გადაუხადე.

დედოფალი. რა ჰქენი ეს? (მივარდება კარებს,  
რომელიც სცენის სიღრმეშია) მიშველეთ, მიშველეთ!  
(მიიბრუნს მეფესთან) ფილიპე! ამას აღარ ესმის..  
სუნთქვა შეჩერებია! გაიქეცი, უბედურო! გაიქეცი!  
მიშველე ღმერთო მართალო! წაიღეთ ამისი სიცოც-  
ხლის მაგიერად ჩემი სიცოცხლე (ალღარა მირბის  
ვისმეს დასაძახებლად. დედოფალი ფილიპეს ახლო  
მუხლზე დეიემა)

მეფე. ნ—თ—ქეხი

დასასრული 4 აქტისა.

საფრანგეთის კაბრეთში Paris-ში წარსული  
წლის თეატრების ნამუშრები პროზით დაბეჭდილია „გას-  
დევილი“ თხუხ. ილ. ჭკუჭკადის; ეს პოემა გადუღის  
ცვლილებით ფრანგულ ენაზედ შვეიცარს ქალს კანდი-  
სი-კოლანს.

რამდენიმე ამხანაგებს: გიგო ასიტოვს, ნეკო-  
ლოზ ჩასლამე და ისქანდერს ერთათ დროება გაუტა-  
რებათ ვერის დუქნებაში; უცნობი რანსკელა კინკლამა  
მოსვლიათ და ერთს მათგანს დას დაუცია ისქანდერის-  
სათვის. დაჭრილსაც ამოელო დას დასკრავთ, მაგრამ  
ისინი გაქცეულიყვნ და შორიდგან ქვების სრულა და-  
ეწეთ. დაჭრილი დიდხანი გდებუღიყო უნატონათ.

დაეს ჩუნი ქართული დრამატული დასი გა-  
მგზავრა პრავინციებში. შირველი წარმოდგენას გამა-  
რთამენ გორში. ითამაშებენ 3 მოქმედ. კომედიას  
„სადაო მთელბელობა“ ვოდვეილი ჟანტრიალდა ჭარა“.  
დასის გამგეთ არის ვასილი ალექსის-მე ხაშიძე.

„თეატრის“ უოსება.

ბ-ნ რ. ალის-ბელოს, თქვენი შენიშვნა, „თეატრის მი-  
ღველებს“ ვერ დაიბეჭდება—მიზეზი თქვენ ჩვენზედ ვარგად  
უნდა მოგვეხსენებოდეთ,—ან იქნება, როგორც ყუხო სოფელში  
ჩავარდნილს და ავათმყოფობით დაგრდომილს ეაცს, თქვენ  
სრულებით დაგავიწყდათ „ხშიანი და უწმარური ქალაქის ჭარ-  
ველობა“? ეს ჭირვეულობა ყოველთვის სახეში უნდა  
იქონიოთ.

თქვენი ლექსები: ეპიტაფია, ელეგია და ნა-  
ვერჩხალი „პოეტურს სისხუქებს“ მოკლებულია და ნამა-  
ლადვეიც არის—ამიტომ ვერ დაბეჭდავთ, ხოლო მიბაძვა  
ღერმან ტოვისადმი და სიმღერა გლადიატორთა  
დაბეჭდილი იქნებთან. პოეტი ამ ნომერში იბეჭდება და, ნუ  
გაწინებთ კი, ეგ უკანასკნელი ლექსი ბევრად სჯობია ზევით  
დასახელებული თქვენი ხუთი ლექსებს... თუ დროს როგორმე  
მოიმარჯვებთ, კარგი იქნება, რომ პატარ-პატარა ფსიხიოლოგი-  
ური ეტოდების წერას მიჰყუეთ, ხოლო პროზაიული ფორმით  
კი, დასასრულ. ნუ მოკლებთ თქვენს მეცადინეობას ჩვენს  
რედაქციას.

ბ-ნ ს—დ— თქვენი ლექსი... „მწვანე კიტრები“ ჯერ  
მეტდ მწვანეა და მეკახევი, გორჩევი რომ მწნილად ჩადოთ,  
თორემ ჩვენ გვაწვენს და თქვენთვისაც გაფუჭდება...

რედაქტორ-გამომცემლის მაგიერ ვ. გუჩია.